სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | საახალწლო | 1996 № 1 (226) | ფასი 40 თეთრი

„სარბიელის“
მეკვლეა 80-იანი წლების
დანიის ზღაპრული
ნაკრების ლიდერი,
ბიზონად წოდებული

პრებენ
ელკიაერ-ლარსენი,

რომელსაც ჩვენი
გაზეთის კორესპონდენტი
კოპენჰაგენში შეხვდა.

იხილეთ 4-5 გვერდები

დადგა ახალი 1996 წელი

ყველაფერი ისე ახდენოდეთ „სარბიელის“ მკითხველებს, როგორც ამ ბიჭს აუხდა ნატვრა!

იხილეთ 2-3 გვერდები

ამ ბიჭის ახლანდელმა გუნდმა პირველ იანვარს მორიგი გამარჯვება მოიპოვა: ირლანდიელი ქუინის ორი გოლით „ვესტ ჰემი“ 2:1 დაამარცხა. რაც შეეხება წინა ტურში „საუთ-ჰემპტონთან“ მატჩს, იგი სხვა ორ თამაშთან ერთად უამინდობის გამო გადაიდო.

აქვე გთავაზობთ ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ორი ტურის სხვა შედეგებსაც:

30 დეკემბერი. არსენალი - უიმბლდონი 1:3, ბლექბერნი - ტოტენჰემი 2:1, ბოლტონი - ქოვენთრი 1:2, ჩელსი - ლივერპული 2:2, ევერტონი - ლიდსი 2:0, მანჩესტერ იუნაიტედი - ქუინზ პარკი 2:1, ნოტინგემი - მიდლსბრო 1:0

1-2 იანვარი. ქოვენთრი - საუთჰემპტონი 1:1, ლიდსი - ბლექბერნი 0:0, ლივერპული - ნოტინგემი 4:2, მიდლსბრო - ასტონ ვილა 0:2, შეფილდი - ბოლტონი 4:2, ტოტენჰემი - მანჩესტერ იუნაიტედი 4:1, უიმბლდონი - ევერტონი 2:3, ნიუკასლი - არსენალი 2:0, ქუინზ პარკი - ჩელსი 1:2

როგორ შევქმნათ ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებში, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, თბილისურ ოჯახში ცხოვრობდა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭი, რომელსაც ფეხბურთი ძალიან უყვარდა. მამამისი იშხანად კახეთში მუშაობდა, მაგრამ ყოველდღე ჩამოდიოდა შუადღით თბილისში „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლაში, რათა ღობის გარედან თვალი ედევნებინა შვილის ვარჯიშისთვის და საღამოს შეცდომებზე მიეთითებინა. შინ მამა დამატებით ავარჯიშებდა ბიჭს, კრისებზე დაარბენინებდა, ხილს და ბოსტნეულს უწურავდა და ასმევდა. გავიდა დრო, ის ბიჭი გაიზარდა და გიორგი ქინქლაძე გახდა...

...აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, მეც, ისევე როგორც თბილისელთა უმრავლესობამ, გადავწყვიტე მოხალისედ ჩავწერილიყავი. ჩემმა მეგობარმა მიშა ტყავაძემ სასტუმრო „ივერიაში“ წამიყვანა და უცებ გამაფორმეს მოხალისედ. ის-ის იყო, ჩემი მისამართის ჩაწერა დაამთავრეს, რომ ოთახში ერთი „ეურული ფირალი“ შემოიჭრა და გვაცნობა, რომ თბილისის აეროპორტში რაღაც დივერსიებს ამზადებდნენ, საჭირო იყო მთელი ღამე გვემორიგა. მოკლედ, ის ღამე თეთრად გავთენეთ მეც, მიშა ტყავაძემაც, ათიოდ კიდევ სხვამ და, რაც მთავარია, იმ კაცმა, ყველა რობიზონს რომ ეძახდა. ასე გავიცანი გიორგი ქინქლაძის მამა, რომელიც შინ ჯდომის ნაცვლად თბილისელთა სიმშვიდისათვის ღამისთევას ამჯობინებდა...

— 1960 წელს 19 წლისა ვიყავი, ოზურგეთიდან თბილისში რომ ჩამოვედი. ქინქლაძეები სოფელ ნატანებიდან ვართ. დოლიძის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ფიზკულტურის ინსტიტუტში მეორე კურსზე ვსწავლობდი, როცა ერთი მეშვიდეკლასელი გოგო ჩამივარდა გულში. 1968 წელს სკოლა დამთავრა და ინსტიტუტში ჩაბარა თუ არა, მოვკიდე ხელი და ოჯახი შევქმენი. მახსოვს, დილ-დილაობით ჩემს მაშინდელ მეგობრებთან ერთად ზოოპარკთან ახლოს ფეხბურთს ვთამაშობდით-ხოლმე. მერე ტრავმა მივიღე, ფიზკულტურულს თავი დავანებე და სამშენებლოზე ჩავბარე პოლიტექნიკურში.

... 1940 წლის 23 ოქტომბერს, ბრაზილიაში, ცნობილი ფეხბურთელის დონდინოს ოჯახში ნახშირივით შავი, პირველი ბიჭი გაჩნდა. დონდინიმ უმალ ფეხებზე დახედა და გახარებულმა წამოიძახა: რა კარგი ფეხები აქვს, ეს ნაღდად დიდ ფეხბურთს ითამაშებს! ბიჭის დედას ფეხბურთის გაგონებაზე კინაღამ ხელმეორედ დაეწყო ტკივილები.

...1963 წლის 22 ივნისს ბუტრაგენიოების ოჯახში პატარა ემილიო რომ დაიბადა, მამამისმა ახალშობილი ხელში აიტაცა და თქვა: მე ამისგან დიდ ფეხბურთელს გავაკეთებ!

... ასევე მოიქცა ორჯერ ლაუდრუპების მამა, ფინ ლაუდრუპი, პრებენ ელკაერი კი ირწმუნება, რომ მისი ვაჟი მაქსი ისეთი დონის ფორვარდი გახდება, მსოფლიოს რომ არ უნახავს...

საინტერესოა, რა თქვა რობიზონ ქინქლაძემ პატარა გიორგის დანახვისთანავე 1973 წლის 6 ივლისს?

— პირველი გოგო მყავდა და სულმოუთქმელად ველოდებოდი ბიჭს. ხათუნამ პლეხანოვზე იმშობიარა, ახლა იმ საშობიაროს მთავარი ექიმი ალექსანდრე იაშვილის მამა მაფელი იაშვილია. მოკლედ ბიჭი მესამე ღღესღა ვნახე და იმწამსვე მივხვდი, რომ დიდი ფეხბურთელი უხდა გამოსულიყო. საოცარი იყო: სიარული ჯერ არ იცოდა, მაგრამ ძალზე სწრაფად ხოხავდა, ოთახში ერთი წუთით რომ დატოვებდი, უმალ მეორე ოთახისკენ გახოხდებოდა. მუხლის ადგილი შარვლებზე მუდამ გადატყაული ჰქონდა. საოცრად სწრაფი და ენერგიული ბავშვი იყო...

ფეხზე პირველად დადგა, თუ არა, ბურთი გაკეთორე, იმწამსვე ცაცია დაბჯენდრა. გამიკვირდა, არც მე ვიყავი ცაცია და არც ოჯახში ხმარობდა ვინმე მარცხენას...

1977 წელს კისერზე შევისვი და სტადიონზე წავიყვანე. „დინამო“ „ინტერს“ ხვდებოდა... ყველა სახიფათო მომენტზე ფეხებს ისე



1980. მამა-შვილი ქინქლაძეები

შემომიჭერდა კისერზე, მიკვირდა, საიდან აქვს ამხელა ძალა ამ ლაწირაკს-მეთქი.

1979 წლის 5 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონის წიდიან მინდორზე ავთო ხელაძესთან მივიყვანე, ფეხბურთის ჯგუფისთვის ბიჭებს არჩევდა. ბორია სიჭინავა ჩემი მეგობარი იყო, იმის პროტექციით მივიყვანე. ავთო აღშფოთებული, კიდევ პროტექციაო, თუმცა ბორიასთვის უარი ვერ უთქვამს და გასინჯა გიორგი სხვა ორმოცდაათამდე ბავშვთან ერთად. გიორგიმ კენწლა უკვე იცოდა. რომ აკენწლა და ალარ ჩამოუვარდა ბურთი, გაოცებულმა ავთომ ყველა ბავშვი გაიჩერა და უთხრა: აი, თუ ამ პატარა ბიჭივით აკენწლით ბურთს, მაშინ დაგჭიროთო....

— **სახლში უფრო რაზე ესაუბრებოდით?**

— გიორგი ჩუმი და უთქმელი ბავშვი იყო, მარტო ფეხბურთზე მელაპარაკებოდა ხოლმე...

— **სკოლაში როგორ სწავლობდა?**

— ჩემი მეუღლე აქვე, დიდებში, 155-ე სკოლაში ასწავლიდა ისტორიას. გიორგიც ამ სკოლაში მივიყვანეთ. კარგად სწავლობდა, დედის დიდი ხათრი ჰქონდა და გაკვეთილებს არ აცდენდა.

— **ახლა დროა, ქინქლაძის გაზრდის თქვენეული მეთოდის შესახებ გვითხრათ...**

— თავიდან, მუხლების გასამაგრებლად, ვიძულებდი ოთახში 50-ჯერ წინ და უკან მუხლებში ჩამჯდარს ვევლო. ხათუნა მუდამ ბრაზდებოდა — ნუ ტანჯავ ბავშვსო. ლოჯში ასაზიდი რგოლები ჩამოვკიდე და აზიდვას ვაიძულებდი. უბანში თავის ტოლებშიც და უფროსებშიც ხელის გადწევაში ყველას სჯობდა, ცალ ფეხზე ჩაჯდომა ხომ ფეხბურთელისთვის აუცილებელი პირობა იყო. დაკვებული რომ ყოფილიყო და ქუჩას მოსცილებოდა, ცეკვაზე მივიყვანე. ხუხიშვილების სტუდიაში, თანაც ვიცოდი, ცეკვა სისწრაფეს და სისხარტეს ავითარებდა. მერე დედამისის და ცეკვის მასწავლებლის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, ცეკვიდან გამოვიყვანე და ცურვაზე შევიყვანე.

— **არაფერი გითქვამთ თქვენი „საფირმო ნამლის“ — წვენების შესახებ...**

— ოო, ოთხი წვენის საწური მქონდა. ბაზარში გამყიდველები მცნობდნენ და საღ ხილსა თუ ბოსტნეულს მირჩევდნენ. ჩემი ხელით ვუწურავდი და დღეში ერთ ლიტრამდე წვენს ვასმევდი, ხანდახან

1979. გიო დასთან მარინასთან ერთად

მეტსაც. ვიცოდი, დედამისს შეეცოდებოდა ო არ ეამაყებოდა ამეტო[illegible] კასპიდან ჩამოვიდოდი და ძალი[illegible] ამ[illegible] — [illegible] ეს, [illegible] არასდროს უცდია...

— **თქვენს რეცეპტში რომელი ხილი და ბოსტნეული შედიოდა?**

— ვაშლი, ბროწეული, სტაფილო და ჭარხალი.

— **ცურვის და ცეკვის პარალელურად ფეხბუროსაც ხომ აქცევდით ყურადღებას?**

— რა თქმა უნდა. ავთო ხელაძის შემდეგ თემურ ლორთქიფანიძემ ჩაიბარა. ამ კაცზე კი საგანგებოდ მინდა ვთქვა. თემური, ჩემი აზრით, მწვრთნელის იდეალია. მშრომელი ბიჭია და მუდამ ბავშვებთან ერთად ვარჯიშობს. შაათ-კვირას, როცა ბავშვებს ვარჯიში არ ჰქონდათ, თემური გამოუვლიდა ხოლმე, იპოდრომზე წაიყვანდა და კრისებს არბენინებდა, სხვა სპეციალურ ვარჯიშებსაც უტარებდა. ლორთქიფანიძეს მერე ოთარ გეგეჭკორმა და ბორის სიჭინავამ ჩაიბარეს და ბოლომდე მათთან იყო. მინდვრის გარედან, მალულად ვუთვალთვალებდი ხოლმე ჩემი შვილის თამაშსა თუ ვარჯიშს. როცა რაიმე ფონტს გაკეთებდა, ანაც გოლს გაიტანდა, თვალებს აცეცებდა, მე მეძებდა, მაგრამ სპეციალურად ვემალებოდი, საღამოს კი შეცდომებზე ვუთითებდი. სულ უკვირდა — საიდან გიგეო. ეზოში ფეხბურთის პატარა მოედანი გვქონდა. უქმეებზე მე დავარბენინებდი და ჩემებურად ვუხსნიდი, ზაფხულობით კი ქობულეთში ქვიშაზე ვარბენინებდი.

— **სკოლა რომ დაამთავრა და უგუნდოდ დარჩა, იმ პერიოდზე მოგვიყევით...**

— 1990 წლის იანვარში იტალიაში ტურნირი მოიგეს, გიორგი საუკეთესო მოთამაშე გახდა. ჩამოვიდნენ ბიჭები და თითქმის ყველანი უგუნდოდ დარჩნენ. მოვკიდე გიორგს ხელი და ორთვენახევრით საირმეში წავიყვანე, მერე გივი ვაზაგაშვილთან ერთად ქობულეთში მყავდა, მთაში ზღვაზე, ქვიშაზე დაუზოგავად ვვარჯიშებდი, რომ ფორმიდან არ ამოვარდნილიყო. თბილისში მაისში ჩამოვედით და...

... ამ ლაპარაკში ვიყავით და ზარი დაირეკა, კობა ჟორჟიკაშვილმა მოაკითხა ქინქლაძეებს. ვიო პირველად სწორედ კობამ მიიყვანა „მრეტებში“ და რობიზონ ქინქლაძის გზის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა...

— კობას და იაგოს შორიდან ვიცნობდი — გაავრძელა ქინქლაძის მამამ — ამიტომ, როცა კობამ შემომთავაზა, ახალი გუნდი ყალიბდებაო, თბილისის „მრეტები“ და გიორგის წავიყვანო, მყის დავთანხმდი და ჩემი მოვალეობა გადავეცეოცე. თანაც კობამ ამიხსნა, კლუბს დიდი გეგმები აქვს, უმაღლეს ლიგაში უნდა გადავიდეთო...

... ამის შემდეგ კითხვების ადრესატი კობა ჟორჟიკაშვილი გახდა:

— „მრეტების“ მწვრთნელსა და პრეზიდენტს ვაჟა ჩხაიძეს გიორგი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელთან ერთად მივუყვანე. გიორგიმ ბურთი მიიღო თუ არა, ვაჟამ მითხრა — ეგ რჩებაო. მერე და მერე, როცა ბიჭებს ვავარჯიშებდი, გიორგი ყველას სჯობდა: ხელის გადაწევა იყო, სიმაღლეზე ხტომა თუ ცურვა... მაგაზე გაცილებით ჯანიანებსაც ამ უგებდა. ვაჟა გიორგის პიროვნულადაც ზრდიდა, ცხოვრებისეულ ამბებს ასწავლიდა. მე კრუიფისა და მარადონას კასეტებით ვამარაგებდი, საათობით უყურებდა ხოლმე, რამდენჯერმე იმეორებდა ერთსა და იგივე მომენტს და სწავლობდა.

... მრეტი გიორგი მეც კარგად მახსოვს, კლუბის ავტობუსში მორცხვად იჯდა უკანა სკამზე და ამ კლუბის დირექტორატის წევრი ნათია თევზაია დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა. იმ პერიოდში „ქართულ ფეხბურთში“ ვმუშაობდი და „მრეტების“ თამაშის ცქერა ხშირად მიწევდა. დღითიდღე, თამაშიდან თამაშამდე უმატებდა გიორგი. მერე კი რევაზ ძოძუაშვილის დაჟინებით „დინამოში“ აღმოჩნდა. 1 მილიონი რუსული

1973. გიორგი ჯერ ერთი წლისაც არაა

1987. ოთარ გეგეჭკორის „ნორჩი დინამოელები“

მანეთი გადაიხადა მაშინ მერაბ ჟორდანიამ, დაახლოებით 4000 დოლარი.

— ბატონო რობინზონ, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩეს, გიორგი ქინქლაძე „დედიკოს ბიჭიაო", ნუთუ მარტო სახლი და ფეხბურთი იყო მის ცხოვრებაში?

— სხვათა შორის, დიდი ფეხბურთელი გუნდის ლიდერი ვერ გახდება, თუ ქუჩის სკოლა არ გაუვლია. ცხოვრებაში და მინდორზე ჩუმი და უტყვი გიორგი ხხუბში და საქმის გარჩევაში არავის ჩამოუვარდება. მახსოვს, „შრეტებში" თამაშობდა, ეროვნულ სტადიონზე მეტოქემ შეურაცხყოფა რომ მიაყენა. გორგის უთქვამს, თამაშს მოვრჩებით და შერე ვილაპარაკოთო. მართლაც, თამაშის შერე საქმის გასარჩევად გაუყვანია. ამას ყველაფერს კი ვუყურებდი, მაგრამ ჩარევა არ ვიკადრე, თვითონ მოუაროს თავის საქმეს-მეთქი, ვიფიქრე. როგორც ბიჭები ამბობენ, გიორგი თავისი შეწყენინებლის ოხტში ვაჟკაცურად ამოსულა. ასე რომ, თუ ვინმე აწყენინებს...

ვამუკა კვარაცხელია



„სიტის" სიახლე ნაპერწკლებს ისვრის!

და აი, გაიზარდა გიო, „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა, „ქინქიდ" მოიათლა და ქვეყანა აალაპარაკა. უფრო სწორად ქვეყნები. ინგლისური პრესის გაცნობის საშუალება „სარბიელის" ლონდონელი კორესპონდენტის შემწეობით ჩვენ და თქვენ არ მოგვაკლდება, მაგრამ ქინქლაძემ სახელი ისე გაითქვა, მთელს ევროპაში საკუთარი კორესპონდენტები თუ არ ჩამოვრიგეთ, არაფერი გვეშველება, თუმცა „სარბიელის" კეთილის მსურველები კარგად იყვნენ და, მათი შეწევნით დღეს რამდენიმე ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ სტატიებს შემოგთავაზებთ.

იტალიური „გუერინ სპორტივო", სამწუხაროდ, სამი კვირის დაგვიანებითა აღწევს ჩვენს რედაქციას, მაგრამ ამჯერად იტალიაში მყოფი ზურაბ ალექსიძე შეგვეშველა და 50-ე ნომერი, სადაც გიოზე წერილია დაბეჭდილი, უსწრაფესი ფოსტით გამოგვიგზავნა, რისთვისაც, რასაკვირველია, უღრმესი მადლობა გვეთქმის. „სიტის" სიახლე ნაპერწკლებს ისვრის!" — ასეთია ინგლისის ჩემპიონატისადმი მიძღვნილი წერილის ქვესათაური, თუმცა არც მთავარი სათაურია ნაკლებ საამაყო: ინგლისი — ქინქლაძის დრო დადგა. „მართალია, „მანჩესტერ სიტი" 1:4 დამარცხდა „მიდლსბროსთან", მაგრამ მოედანზე საუკეთესო ერთი ტანად კი პატარა, თუმც საკმაოდ ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო. ეს არის გიორგი ქინქლაძე, ეროვნებით ქართველი ცენტრალური ნახევარმცველი" — იწყებს „გუერინ სპორტივო" და განაგრძობს: „გიორგი „სიტიში" საკმაოდ უცნაური გზით მოხვდა. მას თბილისის „დინამოს" დატოვებისა და ცოტაოდენ პატიოსანი გასამრჯელოს მოპოვების სურვილი რომ გაუჩნდა, იმწამსვე „ბოკა ხუნიორსის" მოწვევა მიიღო, მერე 15 დღე მადრიდის „რეალში" ივარჯიშა, მაგრამ საბოლოოდ „მანჩესტერ სიტის" პრეზიდენტმა ფრენსის ლიმ იმარჯვა და 2 მილიონ გირვანქად შეიძინა. მისი ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება არცთუ იოლი საქმე იყო, მაგრამ ამის მიზეზი თვით გუნდის სუსტი მომზადება გახლდათ. პირადად გიორგიმ კი ჯერ კიდევ გახსნის მატჩში „ტოტენჰემის" წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა.

„ქინქლაძე მოედანზე თავის სიამოვნების მიხედვით მოქმედებს — მისი დიაპაზონი საჯარიმო მოედნებს შორის არსებული სივრცეა. მას, უპირატესად, ორი თვისებით გამოარჩევთ: ტიპიური შემოქმედი და ზუსტად დამრტყმელი. ჩია აღნაგობისა და დახვწილი მოძრაობის წყალობით ქინქლაძე იოლად უპირისპირდება და ატყუებს მეტოქეს, რასაც შემდგომ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი პარტნიორისთვის გადაწოდებული ზუსტი პასი მოხდევს. მისი საყვარელი ფეხია მარცხენა — დღემდე გატანილი ორი გოლის იარაღი".

შემდეგ ჟურნალი აღნიშნავს, რომ ყველას როდი მოსწონს ქართველის თამაშის მანერა და „ლიდსის" მცველის ნაიჯელ უორთინგთონის სიტყვები მოჰყავს: „ქინქლაძე ზშირად ცოინებს ბურთს. მან აუცილებლად უნდა ისწავლოს ინგლისური ფეხბურთის სტრუქტურა, თორემ სანაძლეოს ჩამოვალ, მალე ყველა კომპონენტში დაიჩაგრება." ერთობ უსიამოვნო დახასიათებაა, მაგრამ არც ჩვენ და, რაც მთავარია, არც „გუერინ სპორტივო", ამ აზრს არ ეზიარებს, რისი დასტურიც წერილის ბოლო სიტყვებია: „მან აშკარად ყველაფერი უფრო მალე აითვისა, ვიდრე ამას უნიჭო უორთინგთონი ფიქრობს".

„სარბიელის" ერთგული მკითხველის ნუგზარ ნიკოლაიშვილის წყალობით ახლა თურქეთში „გადავინაცვლოთ". მის მიერ მოწოდებულ გაზეთ „თარაფთარის" ყურამდეც მიუღწევია გიოს ჩინებული თამაშის ამბავს. როგორც თურქული გაზეთი წერს, თუ ქინქლაძემ ასე გაგრძელა, გაისად იგი „ფრანს ფუტბოლის" ლაურეატთა შორის მოხვდება".

ახლა კი ნაცნობ „სპორტ ექსპრესს" ვესტუმროთ. როგორც იქნა, ამ გაზეთმაც დაიჯერა, რომ ქინქლაძე მართლაც კარგად თამაშობს და უკვე გოლებიც გაქვს. 22 დეკემბრის ნომერში დაბეჭდა კონსტანტინ კლეშჩევის წერილი სათაურით „მანჩესტერში ქართულს სწავლობენ". ბატონი კლეშჩევი ბირმინგემში ბრძანებულა და იქ გაუგია, რომ „სიტის " ქართველი ლეგიონერი გუნდში უპირველესი ფიგურაა, თუმცა სტატიის დასაწყისში ისეთი შეცდომაა დაშვებული, მხოლოდ ავტორის მიერ ინგლისურის არცოდნას ვერ დავბრალებთ: „როცა ზაფხულში „მანჩესტერ სიტამ" თბილისის „დინამოდან" 250 ათას გირვანქად უცნობი ნახევარმცველი იყიდა"... ციფრებით რომ დაეწერათ, კაცი იფიქრებდა, ერთი ნოლი კომპიუტერმა ჩაყლაპაო, მაგრამ „250 ტისიაწ" წერია. მოკლედ, ამათგან უარესები გვახსოვს და ახლა ამაზე ნერვების აშლა არ ღირს. ამას ისა სჯობს, წერილში მოხმობილი ინგლისელი სპეციალისტების გამონათქვამები გადმოგცეთ.

... ქინქლაძის გარეშე „სიტის" არავითარი აღმასვლა არ მოხდებოდა. ის დისპეჩერია, დრიბლიორი, ხოლო იმას, რასაც მარცხენა ფეხით აკეთებს, ჩვენს ჩემპიონატში ვერავინ შეძლებს. მისმა პარტნიორებმა სასწრაფოდ ქართული უნდა ისწავლონ, რათა უკეთ გაუგონ ქინქლაძეს §რიკ ჯორჯი, გაზეთ „ლივერპულ ეხოს" მიმომხილველი).

... რასაკვირველია, გიორგი ტალანტია. მისი თამაში აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ უნდა ნახოთ, რას სწადის ვარჯიშებზე! ჩვენი „ლიდსთან" თამაშისას თავიდან ყველა თომას ბროლინს აკვირდებოდა, მაგრამ მერე ყველა მიხვდა, რომ მოედანზე მთავარი ქინქლაძე იყო §ალან ბოლი, „სიტის" მწვრთნელი).

... ქინქლაძე სწრაფი, ჭკვიანი და შეუპოვარია. მას ნებისმიერ დროს ძალუძს ორი-სამი მცველის მოტყუება და გადამწყვეტი პასის მიცემა. ვფიქრობ, თუ ჩავარდნა არ ექნა, ქინქლაძე სეზონის საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელის პრიზის მთავარი პრეტენდენტი იქნება §პოვარდ ვილკინსონი, „ლიდს იუნაიტედის" მწვრთნელი).

და ბოლოს: რუსულმაგ ყოველკვირეულმა „ფუტბოლმა" გასული წლის ბოლო ნომერში დაბეჭდა წერილი სათაურით: „უტყვი მკვლელი ინგლისს იპყრობს". აქ აღარ შეგვდგებით ამ წერილის გადმოქართულებას, ვინაიდან იგი სწორედ ჩვენს გაზეთში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილების ერთგვარი დაიჯესტია.

ზურაბ მეძველია

ეროვნული ბიბლიოთეკა

Kinkladzé réveille Manchester City

Giorgi yıldız oldu

TRABZON'un iki se-
zon öncesi bir takımda
oynadığı Angel ve Sotamin
arkadaşı Gürcü Giorgi
Kinkladze İngiltere'de
şıtar estirdi. Sezon başın-
da 60 milyar liraya
Manchester City ya
transfer olan Giorgi ile

შეხვედრა ძილისგუდა პიზონთან

რვა-ცხრა წლის წინ, სტუდენტობისას, მე და ჩემი მეგობარი დათო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან შინ მუდამ 161 მარშრუტის ათკაპიკიანი ექსპრესით რომ ვბრუნდებოდით, სალაპარაკო თემა ერთი გვქონდა — დანიის ბრწყინვალე საფეხბურთო ნაკრები და მისი ლიდერი პრებენ ელკიაერ-ლარსენი. როდესაც დათოს ვეუბნებოდი, რომ მოვა დრო და მე პრებენს კოპენჰაგენში შევხვდები-მეთქი, საცინლად მიგდებდა. მაშინ მართლაც სასაცილო იყო ეს ამბავი და მითუმეტეს დაუჯერებელი.

ვაირა სტუდენტობამ, დათომ სპეციალობით განაგრძო მუშაობა და ახლა საქართველოში ერთ-ერთი გველაზე პერსპექტიული ბანკირია, მე კი ჟურნალისტიკა ავირჩიე და 1995 წლის 15 ნიემბერს, დანიის დროით 17 საათსა და 15 წუთზე, კოპენჰაგენში, „პარკენის“ ბრწყინვალე პრესლოჟაში ლებლიონკაში შეფუთულ ბრგე ელკიაერს ჩემი თავი რომ წარუდგინეს, იმ წუთას დათო გამახსენდა...



პრებენ ელკიაერ-ლარსენი

დაიბადა 1957 წლის 11 სექტემბერს.

სიმაღლე — 183 სმ, წონა — 75 კგ.

კლუბები: „ფრედერიკსბერგი“ 73 წლამდე, „ბკ კოპენჰაგენი“ — 73-75, „ვანლოსე“ — 75-76, კიოლნი 76-78 (9 მატჩი, 1 გოლი), „ლოკერენი“ — 78-84 (200 მატჩი, 120 გოლი), „პელასი“ — 84-88, „ვეილე“ — 88-91.

ეროვნული ნაკრები — 69 მატჩი (38 გოლი). ახალგაზრდულ ნაკრებში 9 მატჩი (9 გოლი). . დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 1977 წლის 22 ივნისს (დანია — ფინეთი 2:1).

გაცნობიდან რამდენიმე წუთში ტელეკომენტატორთა ჯიხურში ელკიაერთან ერთად ვიჯექი და დიქტოფონი ჩართული მჭერდა. მანამდე კი პრებენს პატარა სამსახური გავუწიე: სოშენ ფეხბურთელთა გვარები დავუზუსტე და მისივე თხოვნით ორიოდ ფეხბურთელი გამოვკავი — გუნდის ლიდერები არიან-მეთქი. ჩემს ჯილასთან სასაუბროდ მეტად შეზღუდული დრო მქონდა, რაკიდა პრებენი მატჩის რეპორტაჟისთვის ემზადებოდა და ყველა ის კითხვა, რომელიც მე და დანიის ფანატ ქართველ გულშემატკივარს აინტერესებდა, ჯერ დავუსვი, თუმცა ვფიქრობ, ვინც „სარბიელის“ ამ საახალწლო ნომერს შეიძენს, ამ სტატიის წაკითხვისას მთქნარებით არ გასკდება...

...ბიზონი, ქერა ხარი, გრიგალი, მკლელი საჯარიმოში, გაუხეღნავი ცხენი, აწყვეტილ-ბარი, ბანდიტი, დანიის ფეხბურთის პრინცი — რაღას არ ეძახდნენ პრებენს ჟურნალისტები. ბელგიის ნაკრების მეკარემ, ჟან-მარი პფაფმა განგსტერი შეარქვა, ერთმა დანიელმა ჟურნალისტმა — მალკიერი (დანიურად — გოლების რეკორდი). მეტსახელთა უმრავლესობა ცხოველთა თუ დამნაშავეთა სამყაროდან იყო.

— არ გწყინდათ, ბიზონს რომ გეძახდნენ?

— პირიქით, მსიამოვნებდა. ბიზონი ხომ ძალის განსახიერებაა, გაავების, ჯიქურობის სიმბოლო. მეც ზუსტად ეს თვისებები მახასიათებს...

— დიდი ხნის წინ ჟურნალისტებს განუცხადეთ: „ჩვენ, დანიელი ბავშვები ყრმობიდანვე ვეჩვეოდით ცხოვრების სპარტანულ წესს, გამუდმებულ მოძრაობას, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას. რას გვექნა, ასეთებად, ვიკინგებად გაგვაჩინა ბუნებამ — კარგ მონადირეებად, პირდაპირებად და ალალებად, მეგობრის გამტანებად, ყველა დანიელ ბიჭუნას ესიზმრება, რომ ჩვენი წინაპარი ვიკინგებივით ცხოვრობს და ამით ბავშვობიდანვე ამაყობს“. თქვენი ეს სიტყვები მაფიქრებინებს, რომ მძიმე ბავშვობა გქონდათ...

— რას ამბობთ, მშვენიერი ბავშობა მქონდა. ჩემი მშობლები მშრომელთა კლასის წარმომადგენლები იყვნენ, ძალზე პატიოსანი და მუშა ხალხი. არა, ძალიან კარგი ბავშობა მქონდა...

— მამათქვენი თუ თამაშობდა ფეხბურთს?

— თამაშობდა. ისიც ფორვარდი იყო. ახლა მეუბნება, რომ ძალზე მაგარი ვიყავიო, მაგრამ არ მჯერა. მართლა მაგარი რომ ყოფილიყო, დიდ ფეხბურთს ითამაშებდა დიდ გუნდში, საერთოდ კი მამაჩემი ბევრს ნიშნავდა ჩემთვის, „კიოლნშიც“ ორჯერ ჩამოვიდა საგანგებოდ ჩემი გულისთვის, რათა დავემშვიდებინე, რადგან კონფლიქტები მქონდა. სულ მეუბნებოდა, ნორმალურად მოიქეციო, მეც მამაჩემს ერთადერთ ავტორიტეტად ვაღიარებდი ჩემთვის...

— „კიოლნში“ ძალზე ახალგაზრდა წახვედით, არადა, ცნობილმა მწვრთნელმა ჰენეს ვისვაელერმა კარგა ხანს გაგეხინთ სკამიერატომ გქონდათ მასთან ურთიერთობა ასე გართულებული?

— მე მას ძალიან ვუყვარდი. ძალზე მკაცრი მწვრთნელი იყო, თუმცა მახსენდება, რომ ძალზე კმაყოფილი იყო ჩემით, როცა ახალგაზრდული ნაკრებში მიწვევდნენ. როცა კიოლნში დავბრუნდებოდი ხოლმე, ვაისვაილერი მეუბნებოდა, კარგად ითამაშე და ახლა შეგიძლია შნაპსი დალიო...

... ამ ამბავზე ასეთი ანეკდოტი დადის: დილის ვარჯიშზე ვაისვაილერმა პრებენი მაგრად შეჯორა:

— გავიგე, გუშინ ლუდის ბარში ლამაზ გოგონასთან ერთად კარგად მოგილხენია და ვისკის სმითაც გამსკდარხარ...

— რას ამბობთ ჰერ ჰენეს, მტკნარი სიცრუეა.

— არავითარი სიცრუე, ისეთმა კაცმა მითხრა, არ მომატყუებდა.

— და მაინც, მოუტყუებიხართ ჰერ ჰენეს...

— თავგზას ნუ მიბნევ! არ მომატყუებდა!

— ტყუილი უთქვამს, ჰერ ჰენეს, გუშინ ბარში ვისკის ერთი წვეთიც არ დამილევია. მთელი საღამო არაყს გეახლებოდით...

ეს რომ პრებენს შოკუქეეი, ალბათ...

— მე არასოდეს დამილევია, ეს სიცრუეა და ჟურნალისტების მონაჩხმახი, აი სიგარეტს კი უზომოდ ბევრს ვეწეოდი, ქალებიც, მოგეხსენებათ, ახალგაზრდულ ასაკში, ჯან-ღონით სავსეს... რაც შეეხება სასმელს, ყველა ანეკდოტი შეთხზულია, სიმართლესთან კავშირი არა აქვს...

— მაინც რატომ ვერ გაიუურჩქნა თქვენი ნიჭი გერმანიაში?

— ალბათ ასაკის გამო. 18 წლის ვიყავი, თუმცა გერმანიაში მაინც ძალზე ბევრი ვისწავლე.

...კიოლნში ჩასვლისთანავე ვოლფგანგ ოვერატს არად ეგდაშნიკა თავზედი დანიელი და პირველ დღეებშივე აგრძნობინა, „აქ მე ვარ ყველაფრის ბატონ-პატრონიო“. თავქარიანმა პრებენმაც არც აცია, არც აცხელა და გერმანელ ვარსკვლავს „ბებერი ბუ“ უწოდა. მისი ძირითადში ვერმოზვედრაც ალბათ ამას უფრო უნდა დავბრალოთ. ასე იყო თუ ისე, როდესაც ბელგიის მაჩანჩალა „ლოკერენმა“ პრებენ ლარსენში 50 000 დოლარი გადაიხადა, კალთები არავის დუხვევა. იქ ბელგიურ ლუდს და ქალებს მიეძალა, სიგარეტის უზომოდ წევაც ბელგიაში დაიწყო, ვარჯიშებსაც აცდენდა.

ჩუხი დობიაში ასე იგონებს ლარსენის მისვლას „ლოკერენში“: ამბობდნენ ეს დანიელი „კიოლნიდან“ გამოაძევესო. იქ ჯერ ტრავმა ჰქონდა, მერე კიბირებული ხასიათის გამო არ აყენებდნენ ძირითადშიო. თავიდან „ლოკერენშიც“ ცხვირაწეული დადიოდა. ჩამოყალიბებული ინდივიდუალისტი იყო, თავიდან მხოლოდ თავისთვის — ...ოდა, თანაც თავისებურად, პასებს არავის აწვდიდა. მე კოლექტიური ფეხბურთი მიყვარდა, თანაც ხისტად ვთამაშობდი. მწვრთნელი გადმეკიდა, ვარჯიშებზე პრებენს ცოტა რბილად ეთამაშეო. მე მაინც ჩემსას ვაკეთებდი და ამის გამო მე და პრებენს დიდი გაწყენ-გამოწყენაც გვქონდა. მაგრამ როგორც კი ბელგიელი ქალი შეირთო, ჰოი ხაოცრებავ! თითქოს ჯადონური ჯოხი დაუქნიესო — „ბულკივით“ გახდა.

— პრებენ, თქვენს მეუღლეს, ნიკოლის ლოკერნში შეხვდით, არა?

— ბელგიაში ახალი გადასული ვიყავი, როცა ერთ მოდურ საპარიკმახეროში ერთი ლამაზი გოგო ჩამივარდა გულში. ჰოდა, ცოლადაც შევირთე. რა თქმა უნდა, იმ დღესვე მორჩა მისი დალაქობა. ახლა აღარსად აღარ მუშაობს. ამბობენ, რომ ჩემი ფეხბურთი სწორედ ნიკოლის მოყვანის შემდეგ ვითამაშე.

— ახალ ელკიაერს თუ ზრდით?

— გვყავს შვიდი წლის მაქსი. მე მას „გიჟ მაქსს“ ვეძახი. ფეხბურთს თამაშობს, ჯერ ჩემსავით არა, მაგრამ ითამაშებს. იგი ფორვარდია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ადრეა იმის თქმა, თუ როგორ ითამაშებს მაქსი, მე მაინც გეტყვით, მაქს ელკაიერ-ლარსენი იქნება უდიდესი ფორვარდი, რომელიც მსოფლიოს ოდესმე უნახავს.

...„ლოკერენში“ პრებენ ლარსენი პრებენ ელკიაერად გარდაიქმნა, როგორც პირდაპირ, ისე გადატანითი მნიშვნელობით. იმ პერიოდში ალან სიმონსენმა თქვა მასზე: „მისი სტიქია აფეთქებაა!“ ეს მართლაც ასე იყო, როგორც კი პრებენი ბურთს მიიღებდა, იმეუთსავე აფეთქება ხდებოდა. ექვსი სეზონის განმავლობაში ელკიაერმა „ლოკერენში“ 200 მატჩი ითამაშა და 120 გოლი გაიტანა. 1980 წელს ეს პროვინციული ქალაქის გუნდი პრებენმა მეორე ადგილზე და თასის ფინალში გაიყვანა, მომდევნო წელს კი უეფას თასზე მერთხედფინალამდე „მიათრია“. ლოკერენელი ფანები ჭკუაზე გადადიოდნენ მისი მინდორზე ყოველი გამოჩენის შემდეგ და ისიც ფეთქდებოდა და ფეთქდებოდა. გუნდის კაპიტნადაც აირჩიეს...

ამასობაში კი დედით დანიელმა და მამით გერმანელმა ზეპ პაინტეკმა „დანიური დინამიტის“ კეთება დაიწყო. ცნობილია პაინტეკის გამორჩეული სიყვარული პრებენის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ნაკრების ლიდერად უპირობოდ ითვლებოდა ევროპის 1977 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ალან სიმონსენი, პაინტეკის ჯილა მაინც ელკიაერი იყო. ბოლოს და ბოლოს პაინტეკის მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო, ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ „უემბლი“ გაიოგნა 1983 წლის 21 სექტემბერის მატჩის, ინგლის — დანიის შედეგმა. მატჩის 76-ე წუთზე ინგლისელმა მცველმა ფალ ნილმა ბუსკთან ორთაბრძოლაში ხელით ითამაშა. სიმონსენმა შილტონი მარცხნივ გადაახტუნა, პენალტი კი მარჯვნივ შეუგდო და დანიელებს ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის საგზური დუბევა.

ევროპის ჩემპიონატზე პირველივე მატჩში დანიელები მასპინძლებს შეხვდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს ფრანგი ლეგრუ უხეშად ეთამაშა ალან სიმონსენს და ფეხი მოსტეხა. ამ წუთიდან დაიწყო ელკიაერის ზეობა. ყველა მომდევნო თამაშში გუნდის ლიდერობა მან ითავა. ჯერ იუგოსლავია გაანადგურეს 5:0, ეს იყო ელკიაერის საუკეთესო თამაში. ნაკრებში მანამდე ჩატარებულ მატჩებს შორის. მან დაფლითა იუგოსლავიელთა დაცვა გამოცდილ ზაეცისა და კატანეცის მეთაურობით, მატჩის მიწურულს ულამაზესი გოლიც გაიტანა. მაგრამ პრებენ ელკიაერ-ლარსენი, როგორც ნაღდი ვარსკვლავი, მსოფლიომ მომდევნო მატჩში აღიარა, ბელგიელებთან, 1984 წლის 19 ივნისს. თავიდან დანიელები 0:2 აგებდნენ, მაგრამ ბიზონი გაგიჟდა, ჯერ მეგობრებს ანგარიში გაათანაბრებინა, 84-ე წუთზე კი სასწაული ჩაიდინა, 50-60 მეტრიანი დრიბლინგი განახორციელა, გზაში ყველა ბელგიელი მოატყუა, თუ გზიდან ჩამოიცილა და პფაფს ფანტასტიური გოლი გაუტანა. პფაფმა, რომელიც მუდამ გმოირჩეოდა იუმორის დიდი გრძნობით, ელკიაერი განგსტერს შეადარა იმ თამაშში.

ნახევარფინალში კი ელკიაერს ესპანელები გადაეღობნენ, რომელთაც სერიოზულ ძალად არავინ თვლიდა. მატჩის დასწყისშივე ელკიაერის თაური არკონადამ გაჭირვებით მოიგერია, მაგრამ ლერბიეს მიუსწრო 1:0. ის თამაში, ვისაც უნახავს, არასოდეს დავიწყდება. მე პირადად მუდამ ვამბობ, რომ ეს იყო უდიდესი მატჩი, რაც კი ოდესმე მინახავს. დანიელები ფინალში გადიოდნენ, მაგრამ ახალგამოსული სარაბიას აქტიურობით მასელამ ანგარიში გაათანაბრა მატჩის მიწურულს. დამატებითი დროც სასწაული სანახავი გამოდგა, ელკიაერს ვერაფრით აკავებდნენ, გარდა სარეებისა და მაისურზე დაქაჩვისა, ის კი არა, ტრუსიც ჩამოახიეს. პენალტებში 4:4-ზე პრებენმა კარს გადააცილა ბერთი, სარაბიამ კი ფინალში გაიყვანა ესპანელები. თავჩაქინდრული ელკიაერი, წუთის წინ გმირი რომ იყო, შერცხვენილი მილასლასებდა გასახდელისკენ. იქ კი „მაშილი ზეპმა“ თბილი მოსასხამი მოახურა, არ გაცივდე, კიდევ მოვა ჩვენი დროო...

ელკიაერის ხელში ჩასაგდებად ევროპის მრავალი კლუბი დატრიალდა, მაგრამ „პარი სენ-ჟერმენს“, „ტოტენჰემს“, „არსენალსა“ და სხვა გრანდებს მოულოდნელად იტალიის პროვინციული ქალაქის, ვერონის „ჰელასმა“ აჯობა და პრებენთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ლოკერენს“ ძალიანაც არ უნდოდა ელკიაერის გაშვება იტალიაში, მაგრამ მილიონნახევარი დოლარი დიდი თანხა იყო და შეელია ბიზონს...

რომეოსა და ჯულიეტას მარადიული სიყვარულის ქალაქში დანიის ფეხბურთის

პრინცმა მეტოქეებს კორიდა მოუწყო. ის ყველგან იყო მინდორზე, იტალიის საფეხბურთო იმპერიაში პრებენ ელკაერი სრულუფლებიანი მონარქი გახდა. ეს იყო გრიგალი, ქარიშხალი, აფეთქება, დატეხილი მეტოქეთა თავზე. მონტეკატინისა და კაპელეტების სისხლიანი ქიშპობის მერე ვერონას ასეთი რამ არ ენახა!

პრებენს გოლი გოლზე გაპქონდა და უმალ გახდა იტალიური მედიის რჩეული. და ეს მაშინ, როცა იტალიაში თამაშობდნენ პლატინი, მარადონა, ბონეკი, ფიოლერი, ზიკო, სოკრატესი და სხვა ვარსკვლავები. ვაოცებულმა ჯოვანი ტანკრედიმ, იტალიის ნაკრებში ძოფის შემდგომმა მეკარემ „ვერონასთან“ შეხვედრის შემდეგ განაცხადა: „ბურთიანი დანიელი საშინელი სანახაკია, მარტო შეკრეთათვის კი არა, მეტოქის მცველთათვისაც“. მის ძალისმიერ დრიბლინგს წინ ვერავინ აღუდგა. პრებენი ჯიუტად მიათრევდა „ვერონას“ ჩემპიონობისაკენ, მეტოქეებს კი იმედგაცრუებულებს და გაოცებულებს ტოვებდა. პირველ ორ სეზონში ელკაერმა 38 გოლი გაიტანა იტალიაში, მაგრამ მე მაინც ერთ მათგანზე შოგითხრობთ, რომელზეც ღღემდე ლეგენდები დადის:

ვერონაში „ჰელასი“ „ბებერ ქალბატონს“ ხვდებოდა. მასპინძლები 1:0-ს იგებდნენ, „იუვენტუსი“ კი გაფთრებით ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას. ერთ-ერთი კონტრშეტევისას, 81-ე წუთზე ელკაერი საჯარიმოში შეიჭრა, იტალიელი მცველი ფეხებში ჩაუტა, მაგრამ ბურთის მაგივრად...ბუცი წააძრო. ელკაერმა შიშველი ფეხით მოატყუა მეკარე ტაკონი და მეორე გოლი გაიტანა...როცა ელკაერს ეს მომენტი გავახსენე, გაიღიმა, მე მუდამ ბოლომდე კთამაშობდიო:

— მინდორზე ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ორი რამ არსებობდა: ბურთი და მეტოქის კარი. მე მჭონდა ბუნების მიერ მონიჭებული ძალა და ტექნიკური დრიბლინგი. კარში დარტყმა ჩემით დავხვეწე. ამ მხრივ მაგალითს ინგლისელებისგან ვიღებდი. რამდენიმე წელი სპეციალურად ვვარჯიშობდი. რასაც მივაღწიე, ჩემით მივაღწიე, არავინ დამხმარებია. მე ყველაფერი მივეცი ფეხბურთს. ფეხბურთმაც ყველაფერი მომცა. თავს არ ვზოგავდი არც ვარჯიშში, არც თამაშში. მუდამ ვცდილობდი პროვოკაციები ამეცილებინა თავიდან, მინდორზე იქნებოდა თუ მის გარეთ. საერთოდ, ცხოვრებაში მეტად დამთმობი ვარ...ქებისგან ცხვირს არასოდეს ავწევ. რასაც ჩემზე წერდნენ, მუდამ გადაჭარბებული იყო — არასპორტულ მხარეს ვგულისხმობ. მე იმპულსური და ტემპერამენტიანი ვიყავი მუდამ. ცხოვრებაში მხოლოდ მოგება მაინტერესებდა. თუმცა წაგებიდან ტრაგედიას არ ვქმნიდი, რადგან ვიცოდი, რომ მოგება და წაგება მუდამ ერთად იყვნენ. ჩემზე წერდნენ, რომ ჭირვეული, კონფლიქტური და ბრეჭია ვიყავი. არასოდეს, არავისთვის უარი არ მითქვამს ინტერვიუზე, არც ზოგ-ზოგიერთებივით ფული მომითხოვია ინტერვიუში...

მოკლედ, იმ წელს „ვერონამ“ სკუდეტო მოიგო. ელკაიერთან უმალ დაინტერესდნენ „ინტერი“, „მილანი“, „ტორინო“, „იუვენტუსი“, „ნაპოლი“, „რომა“.

— ძნელი იყო იტალიაში პოპულარობა, სიმშვიდეზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, არადა, ვერონა პროვინციული ქალაქი იყო. საერთოდ, უხარდათ, როცა მეტოქეს ლამაზად, ფინტით მოატყუებდი. ბელგიაში სეზონში ოცი გოლი ჩემთვის არაფერი იყო, აქ კი საოცრად ჭირდა გოლის გატანა, მაგრამ თავი არ დამიზოგავს. სიმშვიდე კი არ მქონდა. საოცრად ძილისგუდა ვიყავი, ჟურნალისტები კი მოსვენებას არ მაძლევდნენ. რა სასმელი გიყვარს ყველაზე მეტადო. ყავა „კაპუჩინო“-მეთქი.

— თქვენ მართლაც საოცრად თამაშობდით და უნიკალურ შთაბეჭდილებას ტოვებდით, თქვენი აზრით, რა კომპონენტში იყავით სუსტი?

— უდაოდ თავით თამაშში, ცოტა გოლები გამქონდა თავით...

— ჟურნალისტები კი ხშირად იგონებდნენ ერთ მომენტს, რიცა პრებენს ესპანელებთან კარგა ხანს ეჭირა ბერი თავით.

— იტალიის ჩემპიონობის შემდეგ მიზნად რა დაისახეთ?

— რომელიმე ევროპული თასის მოპოვება და ამ ტურნირში ათი გოლის გატანა.

ქვეყანა გამოვიდა ასპარეზზე და ძნელია ყველაფერი იცოდე მათ შესახებ.

— არც ქართველ ფეხბურთელებს იცნობთ?

— ვერც ერთს ვერ გავიხსენებ.

— ნუთუ არც 1985 წლის მატჩში, საბჭოთა ნაკრების მეორე ნომერი გახსოვთ?

— აა, სუაკვეიძე! გამახსენდა. იმ წელს ისეთ ფორმაში ვიყავი, ჩემი გამჩერებელი კაცი არ იყო. მაგრად დავტანჯე, თუმცა ჯანიანი ბიჭი იყო. რას შვრება ახლა, მომიკითხეთ...

— 1985 წელს „ფრანს ფუტბოლმა“ ოქროს ბურთი მიშელ პლატინის მიანიჭა, ჩემი აზრით, იმ წელს ეს პრიზი თქვენთვის უფრო უპრიანი იყო...

— მეც ასე ვფიქრობ. 1985 წელს პროვინციული ქალაქის გუნდით ჩემპიონი გავხდი, ნაკრებში, მსოფლიო ჩემპიონატის 8 შესარჩევ მატჩში 8 გოლი გავიტანე. ჩემთვის ის ფანტასტიური წელი იყო, მაგრამ მაინც მეორე ადგილზე გავედი. სავსებით გეთანხმებით, საუკეთესო ვიყავი.

— მომდევნო წელს მსოფლიო ჩემპიონატზეც არ გამოსულხართ ცუდად.

— მექსიკიდან გამწარებულნი დავბრუნდით. სამი ბრწყინვალე მატჩის შემდეგ ესპანელებთან წავაგეთ სამარცხვინოდ.

— ადრე, 1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე ისევ ესპანელებთან წაგების მერე განაცხადეთ, ჩვენ ესპანელთა კომპლექსი გვჭირსო...

— სხვათა შორის, ჩემი ახალგაზრდანიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად იქცა. ბედმა ის სსრკ ნაკრებთან მოახვედრა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში. 1985 წლის გაზაფხულზე, კოპენჰაგენში გამართულ დანია — სსრკ-ს მატჩში ელკაიერმა მართლა „ზე-ფეხბურთი“ ითამაშა, ლამის მინდორი გადახნა. .

— ოო, ეს რა თამაში მომაგონეთ! ეს იყო ბრწყინვალე სპექტაკლი, თანაც საბჭოთა კავშირის ნაკრები ძალზე კარგი გუნდი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ეს მატჩი. დღესაც კი, როცა დანიაში ხანშიშესული გულშემატკივრები ფეხბურთზე ჩამოაგდებენ სიტყვას, არ შეიძლება ეს მატჩი არ გაიხსენონ. ეს თამაში დიდი ფეხბურთის ნიმუშად მოჰყავდათ და მინდა გითხრათ, რომ ჩემი აზრით ეს იყო საუკეთესო მატჩი, რომელიც კი ოდესმე დანიაში გამართულა.

— ჩემი სამშობლო, საქართველო მაშინ საბჭოთა კავშირში იყო. თუ გსმენიათ რამე საქართველოს შესახებ?

— მხოლოდ ბოლო 2-3 წელიწადში გავიგე ამ ქვეყნის შესახებ ტელევიზიიდან და მხოლოდ ერთი თამაში ვნახე ახლა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა, რა იყო ეს...

1990 წელს, ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობისას, ახალი თანამშრომელი გავაცნეს — თენგიზ სულაქველიძე. „ჭომა“ გაცნობისთანავე საოცრად გულღია და მეგობრული კაცი მეჩვენა. ამიტომ, როცა გავიგე, რომ კაბინეტის მოწყობა დიწყო, ვეთხარი, ისეთ პლაკატს გაჩუქებ, კაბინეტს რომ დაგიშვენებს-მეთქი და ელკაერის პოსტერი გავუწოდე. დაბედა სახე ეცვალა: უუხ მაგის, ნაკრებდან მაგან ამომაგდო...

— თენგიზ, დანიელებთან იმ ცნობილი მატჩის წინა პერიოდს ხომ არ გაიხსენებდი?

— ჩვენ ყველა გუნდთან ერთნაირად ვემზადებოდით. მალოფე



1. ქვეყნიერების კიდეზე, ჩინისა და მაჩინის შესაყართან, ზეზელ ჩანი და ზურზინიოთა ქვეყნიდან უშქარა. საზღვაო მილით დაშორებულ მეელაზანზარივით მომცრო კუნძულზე გაზაფხულის პირს დიდ ბერთაობას მართავენ ხოლმე.
ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ძველად ეგ კუნძული დიდი ვერაფერი ადგილი გონებიათ ქველი საქმის საკეთებლად. აკი სახელგანთქმულ დედოფალ ვიქტორიას უცხო საქმეთა განმრიგეს, დიდგვაროვან ლორდ პალმერსტონსაც შეუნიშნავს, ტრიალი, ქოხმახიანი ადგილია და ჩვენი დროის გულანშაროდ ვერასოდეს იქცევაო.



2. შემცდარა ბეცი პოლიტიკოსი. სეკენსთაუნი გაზრდილა, გაშენებულა, გაკეკვებულა, ორშოცი სხვადასხვა ჯურის ხალხიც შეუკრებია, საბერთაო რამაზანაღდგომაც დაუწესებია და ამ საქმისთვის იქ შეკრებილთა დასატევად ახალი ბაბილონის გოდოლიც, მათებურად სუუ-კეეენ-პუუუ აუგია.

3. არა, ეგ საბერთაო უქმე მაინც გამორჩეული რამაა. ჯამაათსაც ხომ სულ გადასარევად ჭრელა-ჭრელასა კრებს ხოლმე.

ამა ქალაქსა ნესია

7. აი, ეს ნაპატივები სქელო კი ხალხს თვალში ნაცარს აყრის, ყველას მე შეეიჭამეთ ნაზუქი,

4. ზოგს სიფათი აქვს დროშის თარგზე გადაღებილი,

5. სხვას ჯამბაზივით თავზე შეუფერებელი საგნები შეუბამს.



6. ისეთი ბოგანოებიც გამოერევიან ხოლმე, ბილეთის საჯაროდ მათხოვრობა რომ არ ერცხვინებათ.

8. ბრბოში კი ტყლიპიან გორბაჩოვს, რქებდადგმულ უფლისწულ ჩარლზსა და კუბოკრულთავსაფრიან არაფატსაც აღმოაჩენს მოდარაჯე თვალი.

9. მოსეირეებისა არ იყოს, ზუმრობა სეკენსთაუნში შორიდან ჩასულ მობურთალებსაც ძალიან უყვართ. ერთი ეგაა, რომ იმას, რაც ჩვენში, ანუ კავკასიასა და სპარსეთში, ცოტა არ იყოს, მკრეხელობად ითვლება, იქ უფრო გულისგარეთ უყურებენ და მოსწონთ კიდეც. ამათ დაგვიზედეთ, ბიჭები როგორ ლაღობენო.

10. აი, ასე წარუდგენენ ჯენთლმენს ...ამშობლოდან წარგზავნილი „ქაჯები“ გულღია მასპინძლებს. ამათ... ...ზედვარი კაცი უმალ გაიფიქრებ, ნეტავ ამდენი ერთნაირი დ... ...ალა სად უშოვნიათო.

11. ანაც, ღირსეულ რაინდთა და მესტვირეთა ქვეყნის შვილების ოხუნჯობა რადა ღირს. ჯერ დინჯად მიაბიჯებდნენ საზეიმო აღლუმზე, მაგრამ...

...მერე უცებ ქვედაბოლოები აუფრიალებიათ და შიშველი კოკუზნაკები მიუშვერიათ პატივცემული საზოგადოებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. მულლაზანზარელები უფრო ღვთისმოსავი ხალხია. ვიდრე საბურთაოდ გავლენ, ჯერ სახარებიდან რჩეულ ადგილებს წაიკითხავენ ხოლმე,

12. ეხლა მსაჯებიც ვნახოთ. უშველებელი სათვალეებით აღჭურვილან, ემანდ თაღლითებმა არაფერი გამოგვაპარონო.

15. მერე კი ისეთ სანახაობას გაიჩაღებენ, რომ თქვენი მოწონებული,

ბურთაობა და ღრეობა

14. მაგრამ მოედანზე ფეხის შედგმა ერთია და ერთურთს მყის ველურად მოიკითხავენ,

16. მითუმეტეს, თუ მუსონი საავღრო ღრუბელს მოდენის და ასპარეზს ტალახის აბაზანად უქცევთ.

17. ბურთისთვის ფიცხელი ცილობა შებინდებისას იმით თავდება,

19. სულ მთავარი ცულლუტობა კი მერელა იწყება, მობურთალები მოსალხენად რომ განმარტოვდებიან და გვარიანად შეზარხოშდებიან, ზოგი გუნდი შარვლებს ჩაიხდის და ასე ნიფხვისამარა წაიმღერებს,

ვასო გუჩმაზაშვილის
ფოტორეპორტაჟი

ჩვენი თანამშრომლის ცხრა მთას იქით მივლინებისათვის რედაქცია მადლობას მოახსენებს „ტრანსკავკაზუს — სახკინმრეწვ — ისთაბლიშმენთ ლიმითედსა“ და მის გენერალურ დირექტორ ყაფლან ჯანდიერს

18. რომ მავანი რაზმი ლუდის კათხებსა და თასს მოიხვეჭს და სახალხოდ გაიხარებს,

20. ზოგი ჩვენთვის უცხო ქირხვენა ბოსტნეულს ფალოსებად მოირგებს



21. აფრიკის ერთადერთი თეთრი ტომის წევრები კი მეკობრეთა ყაიდაზე როკვას მოყვებიან. ამის მერე ნულარ დავიქადნით, ღრეობა მარტო ჩვენ ვიციოთ!

ქართული სუმოს პრობლემები ყველა ჩვენგანის სატკივარი უნდა გახდეს

სუმოს მოჭიდავეთა საქართველოს ახლად ფუხადგმული ნაკრები დახმარებას და სპონსორს საჭიროებს. შეიძლება საზოგადოებამ არც კი იცოდეს, რომ საშობაოდ უცნობ ქართველ სუმისტებს უკვე იაპონელმა სელექციონერებმაც კი დაადგეს თვალი და საშურია ჩვენი ბიჭების სტაჟირებაზე გაგზავნა, რათა ისინი ჯიბესქელმა უცხოელებმა ოლად ვერ გადაბირონ.

ჩვენი სუმისტები ჯერჯერობით ვერ მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში — ცალკე თვითმფრინავის ბილეთის ფულის და ცალკე საჭირო წონის (ხუმო გოლიათთა სპორტია!) არჭონის გამო.

ან არა და, როგორ ეწნებათ ბიჭებს წონა, როცა ხუმისტს განსაკუთრებული და საგანგებო კვება სჭირდება, რომ გასუქდეს.

დიდ მადლობას ვუხდით მარნეულის მშრომელებს, რომლებმაც ორი ტონა კარტოფილი და ნიგოზი (14 კგ) უსასყიდლოდ გადმოგვცეს; მაგრამ სტაფილო კურდღელს არ ასუქებს და სუმისტს გასუქებს?

თუმცა, რა საკვებზეა ლაპარაკი, როდესაც წაგვერთვა ვარჯიშის საშუალებაც კი. ჯერ იყო და სკოლის ფიზკულტურის დარბაზიდან, სადაც ვვარჯიშობდით, მოგვპარეს მარილი (600 კგ), რაც აუცილებელია საჭიდაო მოედანზე მოსაყრელად. მერე აგვითვალწუნა დარაჯმა წ. აფაქიანმა, რომელიც დარბაზის გასაღებს გვიმალავდა და მუქთ ხალხს გვეძახდა. შემდეგ სკოლის დირექტორმა შეყლაშვილმა საერთოდ აგვიკრძალა იქ მისვლა და ღვთის ანაბრად დაგვტოვა...

ქართველი სუმისტები შველას ითხოვენ, გთხოვთ გამოეხმაუროთ.

საქ. რესპ. სუმოს ფედერაციის თავმჯდომარე, დიდი ხენსეი
ალეკო ჯიშიაშვილი
(ნაკამოვაკი).



ვეას პირველობის აღსანიშნად

მკითხველს შეკითხვა: დიდი ხანია, თვალს ვადევნებ ერრე ვეას თამაშს. ჯერ კიდევ მონაკოდან მახსოვს ეს ტალიკი ბიჭი. მომწონს მისი სირბილის მანერა, განიერი ნაბიჯი, მოსხლეტილი დარტყმა და ჯანიანი თაური. ეს ჯერ გავიგე მხოლოდ — სადაურია ერრე ვეა? ამბობენ ლიბერიელიაო, რაც აფრიკაში ძევს, თუმცა საფრანგეთშიც უთამაშია და იქაც მოქალაქეობის მსგავსი სტატუსი გაუხერხებია, ახლა კი იტალიაში თამაშობს და იქაც არ ითვლება უცხოელად. რაღაც ევროპეგორობის პასპორტის გამო ახლა ეევროპის პირველ კაცადაც სცნეს.

ძვირფასო რედაქციავ, რომელი ქვეყნის მოქალაქეა ვეა და სად ჩაითვლება ის უცხოელად?

პასუხი: ვეა მსოფლიო მოქალაქეა და უცხოელად მხოლოდ ანტარქტიდაზე თუ ჩაითვლება, რადგან პინგვინებმა არ იციან, რა არის მსოფლიო.

ცუდი და კარგი შარშან

ცუდი ის იყო, რომ გერმანიამ ორჯერ გადაგვიარა, რაც, პრინციპში მოსალოდნელი იყო. *კარგი* ის გამოდგა ამ საქმეში, რომ ქეცბაიას გოლის წყალობით ხუთიოდ წუთს ქვეყანა ჩვენი გვეგონა.

კარგი ის იყო, ბათუმის ფეხბურთელებს რომ სტადიონი აუშენეს. *ცუდი* იმ სტადიონზე წაგება გამოდგა; თუმცა იქაც იყო დიადი წუთები.

ცუდი ის იყო, რომ ქართველებმა ებრაელებთან კალათბურთი წააგეს. *კარგი* მაშინ ის გამოვიდა, რომ აღნიშნეს, მეგობრობამ გაიმარჯვაო. ჩვენ დავძენდით: ისრაელმა და მეგობრობამ. ჯობდა კი საქართველოს და მეგობრობას გაემარჯვათ.

კარგი იყო, რომ რამაზ ფალიანმა და პაატა გვასალიამ ყველა გალახეს. ცუდი ამ საქმეში ის არის, რომ მათ რუს მოკრივეებს ეძახიან.

და ისიც *კარგი* იყო, ქართველმა მორაგბეებმა რომ გერმანია წააქციეს თბილისში. თუმცა *ცუდი* აქაც გამოერია — ჰოლანდიასთან თავი მოიჭრეს.

კარგი იყო, რომ გიორგი ქინქლაძემ თავისი გზა მონახა და ბუროის გორებიდან თამაშზე გადავიდა. *ცუდი* იყო ის, რომ მისი გუნდი ჩემპიონატის დაწყებიდან სამი თვის თავზე გაიშალა მხრებში.



შარშანდელი სასამართლო მერიდიანი

აჰა, ძმობილო, ჩაიარა ძველმა წელმა და იმ მამაცხონებულის სიტყვა რომ ამ გავიმეოროთ, ერთიც ვნახოთ, რა მოხდა შარშან ისეთი, რომ ჩვენ სპორტი ისევ მეგობრად დაგვიტოვა, ეს გაზეთი კი -- საკითხავ მასალად.

განთქმული ოჯეი სიმფსონი, ცოლის დაკვლაში რომ ამსჯავრებდა მთელი ამერიკა, ისე გაამართლეს, რომ მთელი იქაური შავობა ცეკვა-თამაშს. ძოიანა. ოჯეი, რომელიც სახით მოძღვრულ ბელა კუტეპოვს ჩამოჰგავს, დღემდის ცეკვა-თამაშშია. ახლა ამბობენ, ფილმი უნდა გადაიღონ ამ სახელოვანი მობურთალის ცხოვრებაზე, სადაც თავადვე ითამაშებსო.

ფილოსოფიურად დაბნეული გამოვიდა ციხიდან მაიკ ტაისონი (1), რომელიც ახლა ჩინურ კოფუნიზმსა და მუსლიმურ ლოცვებს შუა გახიდულა და ღარიბ სტუდენტებთან ჩხუბით ამაყობს. თან ახლავს მსოფლიო აფერისტი დონ კინგი (2) და მასწავლებელი სადიყა.

შარშანაც იფეთქა მსოფლიო ფეხბურთის დ'არტანიანმა, დაბერებულმა მამლაყინწა ერიკ კანტონამ (3). ამ მისტერ ელეგანტმა კარგა ხნით დაისვენა ერთ ქომაგთან წიხლაობის შემდეგ და მინდორს ღიპდადებული დაუბრუნდა. თუმცა კი გააქვს და სხვასაც ატანინებს.

შტეფი გრაფს ეგებ ოხრადაც დაურჩეს ჩოგანიო, ამასაც ამბობდნენ შარშან. ამ ქალის მამას ხომ თავდებიანი თავისუფლება მხოლოდ შობა დღისთვის აღირსეს. ასეა: გერმანია კანონების ქვეყანაა და იქაურობა, ნუუუ, პირდაპირ პოლიციელებითაა სავსე.

კორეის წინააღმდეგ „ბოკა ხუნიორსში" გამოსვლით მარადონამ (4), ვისაც იდუმალი მიმოწერა გაუბამს დენის როდმანთან, აღნიშნა, რომ ყველა ცის კარი იღება. ისე ჩანს, რომ დიეგო ადრეულ ბავშვობას უბრუნდება: ტირის, განიცდის, ჭირვეულობს. მოედანზე კვლავ პროფესორია. არ მოგეშვება. ადამიანი-ჯირკი, ისევე როგორც ნამდვილი ჯირკი, ძნელად იწვის და თითქმის არ ბერდება.

აღჩნდა მსოფლიო ფეხბურთში ვინმე ჟ.-მ. ბოსმანი, ბორჩალო გუნდის პარჩაგი ფეხბურთელი. მან უარი თქვა ერთი ბორჩალო გუნდიდან მეორეში გაყიდვაზე, რადგან მესამეში უნდოდა თამაში. ბოსმანმა საქმე აღუძრა უეფას და ჯერჯერობით მოგებულია. ამან თუ საბოლოოდ მოიგო, მთელი ევროპის ფეხბუროელები უეჭველად ვალერიანით მთვრალი კატებივით ასტეხენ აქეთ-იქეთ სირბილს.

ელის არმია

ახალი წლის დღეები თითქის ჩათავდა. გვარიან ნამთვრალევზე გაიხსენებ მთელს ვასულ კვირას, როდესაც ჭიქა წყალი მაყოლე და ფსკერი გამოუჩნდე. ახსენებ თავვასიფული და ფიქრობ, რომ გამუდამებით სმა მეტად ცმიე რვეული და წარსულის დიდ ტოლუმაშია ხელია.

და რადა ჭამ ფეხბურთელებმა, ვისთვისაც მეან მწერნელებს არათუ დალევაზე, პასპორტის მოწევაზეც კი ჯარიმები დაუწესებიათ? მათ ხომ არ შეუძლიათ, გამოთვრნენ და მერე გაბრუებული თავით მოედანზე გავიდნენ? მწერნელი კი არა, მესამე ბარეზე მყდომი ელამე შეტყობს. ბარატს, ლეონელს, მღარეს, მეკოსეს და პროფესორსაც კი შეუძლია მთვრალმა ამუშაოს და ისეც ბერეა ხმრად, ფეხბურთელს კი ეს არ ეძლევა.

და მაინც, ფეხბურთელთა მოდგმის სმის ტრუალი ეთქმის. გამოგონია ბევრი ქართველი ფეხბურთელის ნათქმა, თამაზე პირდაპირ რესტორნიდან მოსულეართ. ესეც უთქამთ, ერთ სახელოვან კაბტენს ნამთვრალევზე სირბილით დაღლილს ჩრდილოეთის კარის მარცხნა ბელთან მისულა პირნმალი. გესმენია ფერეთვე ეინმე მობურთალს კრეპაციის ენინი შეუსვამს ღვინო. ზოგსაც მსოფლიოს დიდ ქალაქთა სასტუმროს ნომრებში უტეხია ღამე ოქროვი ნუგბარი სასმელის ხერეთით. ეს ყველაფერი და ასი ამდენი იყო.

ელის არმია

და მაინც, შობელ ფეხბურთელთა სამშობლოდ ფეხბურთის სამშობლო უნდა მივნერით. მაგ, რუსეთი? -- იკითხავთ თქვენ. რუსეთი, დასაც სეამენ, მაგრამ ალბათ ლ ლუდის ხერეხის და ღოთობის ეხვა ეშო აქვს.

ჩემი თვალით ენახე (ტელევიზორში), ტრიბუნაზე მყდომმა და ლუდის მალულნაყმა პილ გასკოინმა როგორ, ბიდიმი და ჩუბოყინა მიკროფონში ინტერვიუზე მისულ ჩვენს ბმას - - ანდოდა, ი ჩემი პასუხი. ამა, ამას რა შეედრება?

მთელს ალბიონზე მეორი სურ სტენლი მეტიუნი იყო, რომელიც სასმელი არც კი ეგუბოდა, დამარნენზე ქუმოთ.

ერთხელ ინლანდელთა მადლიერმა მწერნელმა ჯეკი ჩარლტონმა მოტლანდის ნარეს ძლენდ ყეთი ვისკი მართვა, ანდოდა შესარნე ჯგუფში მეტოქე ჩამოვაცილეთო. ის ვისკი რომ მეზეკემში არ დადებოდა, ცხადია.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე ამეე სკოტებმა მხოლოდ ჯეუფური ტერნარის ბოლოსდა გამოეხმიზეს -- მაშინ მათ "ელის არმიას" (ელი სასმელია ოქური) ეარდნენ.

ალეენ ფერეთვინმა რომ სკოტების ახალი ნარეხი შეკარა, დაეკითხენ, ეენი ბიჭები თუ ხეამენი, ამან კი მოეკეთ: "ვიპოვნე 22 სკოტი, რომელიც არ ეწევა, მაგრამ სდ ვიპოვი 22-ს, რომელიც არ სვამს". გამოთ!

"ბიდლსბორის" ახალგაზდელი მწერნელი, მარკრიანელთა ლეგენდარული კაპიტანი ბრიან რობსონი, ვინც შედ წელიწადს კორსიკეთ და გამაუჯანსელი ნემსებით გადიდა მინდორზე, ლუდის ისეთი მსმელი ყოფილა, რომ ლდეში მეადცხრა კათხის ჩაცლადა ხელეკ; ან რადა "ოფსიდა" ჰქონდა.

წარსულის ლდეს ფორეარდმა ჯიმი ეროსმა კი ღამის ხეთი ნოხი ლაწერა თავის ცხოვრებაში სასმელის ადგილის შესახებ. ლდეი ლოთი კაცლდთ, ჭეშმარიტად.

ერთხელ გორდონ სტრაქანს და არჩი ჯემიელს იმდენი ვისკი დალეეეთ, ბოთლები რომ დაგენყოთ, კვლეგანი გეკონკლდათ.

ანის ასეთი კეეიც, ბრიან ლლეი. 70-ანი წლების ბოლის მან ნიტნეეში. რობინ ჰუდის სამშობლოდან ჩემპიონთა თასის სავანდ ანკა. ორი წლის წინ ინგლისის ნარეს მწერნელს რომ არჩევენენ, მისი სახელიც წამოტეტედა. ანაო, ოქეის მაძლეს, ალეი უხეშად ირეკა და ლუდის ხმით სვდა, რა ბაკალთი უნდა მისცეს ეენი. ესეც კარგი.

და რადა ეჭათ, რომ არ ეკისენენ ფეხბურთის და ღოთობის პატარა ეფლინეული ჯიოჯ ბესტი?

და კვლე ათასი "ელის არმიის" წევრი.

სარგბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით.
ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჯედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29